პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 52 (7613)

13 მარტი,
სამშაბათი,
1984 წ.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში:

სპორტი აღარ იარსებებს, თუ უძლიერესთა წარმოჩენას შეწყვეტს (მე-2 გვ.)

ვაშენებთ? წყალში ჩავასხით! (მე-2 გვ.)

უკვდავი თემის უკვდავი ავტორები (მე-3 გვ.)

ნებაყოფლობითი საფეხბურთო უნივერსიტეტი (მე-3 გვ.)

ზიკო: „ფეხბურთი სანახაობაა" (მე-4 გვ.)

მიახლოება

ჩვენ საუკუნეში რაღას არ შეეხო გარდაქმნა-განახლების პროცესი...

სპორტმა შეცვალა წარმოდგენა ადამიანის შესაძლებლობებზე და სტიმული მისცა კვლევის მრავალ დარგს, ამოხსნა ადამიანის დაფარული რეზერვების არაერთი საიდუმლოება.

დღეს სპორტი უკვე საყოველთაო მოთხოვნილებად იქცა, მისი ზეგავლენის სფერო უკიდეგანოდ გაფართოვდა, სოციალურ და პოლიტიკურ დონემდე ამაღლდა. მაგრამ სპორტი თავის თავშიც ეძებს რეზერვს და სრულყოფის გზებს. გვახსოვს დრო, დიდი სპორტი ასაკობრივი პრინციპებით იყო შეზღუდული და ეს ზღუდე დაუძლეველად მიაჩნდათ. მერე და მერე მოზარდები თანდათან გაბატონდნენ სპორტულ სარბიელზე. ის, რაც დიდხანს გამონაკლისად, ვუნდერკინდების სითამამედ იყო მიჩნეული, თანდათან მოექცა კანონზომიერების ჩარჩოებში და...

სპორტი სულ უფრო და უფრო ახალგაზრდავდება. ესეც გვაფიქრებინებს, რომ ამ საუკუნის დასასრული ალბათ სპორტის არნახული აღზევების დღესასწაულიც იქნება. სპორტის გაახალგაზრდავებას ტენდენციას უკვე ვეღარც კი ვუწოდებთ.

ჩვენი სპორტული მოძრაობის კარზე თამამად მოდგა სიჭაბუკე და უფლება აღარა გვაქვს მის ამ თავდაჯერებულ სითამამეს ანგარიში არ გავუწიოთ. ალბათ ეს ბუნებრივიცაა, რადგან სიჭაბუკეს სხვაგვარად არ ძალუძს. განა სპორტის განახლების პროცესისადმი ჩვენი ყურადღების დასტური არაა ის, რომ საკავშირო ახალგაზრდული თამაშები ჭაბუკთა საკავშირო თამაშებით შეიცვალა? საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადის ჩატარების პრინციპიც სპორტული სიჭაბუკის ინტერესებიდან გამომდინარეობს და, ქვეყნის ეს დიდი სპორტული ფორუმი, პირველად სპარტაკიადების ისტორიაში, ყველაზე ახალგაზრდული იქნება.

ახლა მშდ ფიზკულტურულ კომპლექსში სპორტის გაახალგაზრდავების შესაბამისად იცვლება ასაკობრივი საფეხურები. ეს იმას ნიშნავს, რომ იწყება საყოველთაო-სახალხო მიახლოება სპორტთან. ეს პროცესი დიდი სპორტისათვის შეარჩევს ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდობას — იმათ, ვინც კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდება სპორტის, როგორც ჩვენი საუკუნის მართლაც საოცარი ფენომენის საიდუმლოს.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს დიდი მუშაობა ელით. გადახედვას მოითხოვს სპორტსმენთა მომზადების სტრუქტურა. ყველაფერი ამთავითვე ისე უნდა აეწყოს, რომ ასაკობრივი თანამიმდევრობის ჯაჭვში ცარიელი ადგილი არ დარჩეს. რა დასამალია, მომავალი წლის ჭაბუკთა საკავშირო თამაშებისათვის და შემდგომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის სპორტის ბევრ სახეობაში გვაკლია ახალგაზრდული ასაკის სპორტსმენები.

ახლა აუცილებელია საერთო მიზნის მისაღწევად საქართველოს განათლების სამინისტროს, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის, ცალკეული სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების შესაძლებლობებისა და ძალების გაერთიანება. სპორტულ მუშაობაში ყველგან უპირველეს საზრუნავად უნდა იქცეს ბავშვთა სპორტი, რადგან მხოლოდ ის შეიძლება იყოს დიდი სპორტის საიმედო ბალავერი.

ქართული სპორტი თანამედროვე მოთხოვნების შესატყვის განახლების გზას ადგას. მაშ ნუ დავიშურებთ ძალ-ღონეს ამ საიმედო განახლებისათვის.

დეპეშა

თბილისი. ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს.

გულითადად გილოცავთ ქალთა დღესასწაულს და დიდ, დამსახურებულ გამარჯვებას დელის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში. გისურვებთ ბედნიერებას, შემდგომ წარმატებებს საბჭოთა სპორტის სადიდებლად.

ვიქტორ ივონინი, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ვიტალი სევასტიანოვი, სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტი. ნიკოლაი კროგიუსი, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ჭადრაკის სამმართველოს უფროსი, საერთაშორისო დიდოსტატი.

მოსკოვი.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩები

ლევიტინამ კვლავ გაიმარჯვა

10 მარტს, სოჭში, ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილეებმა ი. ლევიტინამ და ლ. სემიონოვამ მესამე პარტია გაითამაშეს. სემიონოვამ (თეთრები) მივიწყებული პონციანის დებიუტი გამოიყენა. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო ლევიტინას მატერიალური უპირატესობით (ზედმეტი პაიკი).

ეს პარტია გუშინ დამთავრდა. ლევიტინამ გაიმარჯვა და კვლავ ლიდერობს — 2,5:0,5.

პარტია გადაიდო

გუშინ ვილნიუსში, ვაჟთა მსოფლიო პირველობის ფინალურ მატჩში ვ. სმისლოვსა და გ. კასპაროვს შორის შედგა მეორე პარტია, რომელიც დაახლოებით თანაბარ პოზიციაში გადაიდო. 41-ე სვლა ჩაიწერა სმისლოვმა.

მატჩის ანგარიშია 0,5:0,5. გადადებული პარტია დღეს დამთავრდება.

თამარ ხუგაშვილი — ლიტვის ჩემპიონი

ვილნიუსში დამთავრდა ლიტვის ქალთა ღია ჩემპიონატი. შეჯიბრებაში 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის 6 ოსტატი.

9,5 ქულით I ადგილი და ლიტვის ჩემპიონის სახელი მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა თამარ ხუგაშვილმა (თბილისი). თამარმა 7 პარტია მოიგო, 5 ყაიმით დაამთავრა და ერთი წააგო.

9 ქულით მეორე ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ე. ეპშტეინი (კლაიპედა), მესამეზე — რ. კარტანაიტე (ვილნიუსი) — 8,5.



ასე იბადება სპორტული დღესასწაული

არა, ეს ძველი კადრი არ არის. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ახლახან კვლავ გამოჩნდა სახტომ სექტორში.

1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადა ვიქტორ სანეევისათვის უკანასკნელი დიდი შეჯიბრება იყო. მერე ისე გავიდა ოთხი წელიწადი, ეს უნიკალური სპორტსმენი აღარ გაჰკარებია მძლეოსნურ ასპარეზს. ვიქტორ სანეევი გამოეთხოვა დიდ სპორტს.

და აი, სახტომი სექტორის ვიწრო ზოლში კვლავ იელვა ჩემპიონთა ჩემპიონის ქაცვიანმა ფეხსაცმელმა. ერთ-ერთ ცდაზე ვიქტორი სულ ათნახევარი გამორბენით 15 მეტრსა და 67 სანტიმეტრზე გადახტა. ეს შედეგი სერგო ახვლედიანის შედეგის იდენტური გამოდგა.

— ცოტათი მომენატრა, ცოტათი გავერთე კიდეც შეჯიბრებით. — თქვა და სიცილით დაამატა: — მაგრამ არ იფიქროთ, სულ ესღა დარჩა სანეევისგან. თუ დღევანდელსაც მივათვლით, სამი ვარჯიში მიგროვდება, ესეც არ იყოს, ასე მოკლე გამორბენით...

ამ სანახევროდ ხუმრობით ნათქვამ „ახსნა-განმარტებაში" არსად იყო მთავარი სიმართლე, თუნდაც ის, რომ ორი მძლეოსნური სკოლის შეჯიბრება უკვე ლეგენდად ქცეულმა სპორტსმენმა ნამდვილ დღესასწაულად უქცია მაყურებელსაც და იმ ახალბედა სპორტსმენებსაც, აღტაცებით რომ შესცქეროდნენ ჩემპიონის ყოველ მოძრაობას.

ეს კადრი სულ ათიოდე დღისაა. სამაგიეროდ ნაცნობი და ძველია სხვა ყველაფერი: ჩემპიონის ნაბიჯი, ათლეტური აღნაგობა, გამოხედვა და საერთოდ, ჩემპიონთა ჩემპიონის მართლაცდა ჩემპიონური იერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახტის წრეში

უპასუხისმგებლობასაც საზღვარი უნდა ჰქონდეს

თითქოს უკვე შევეჩვიეთ: აშენდება ესა თუ ის სპორტული ბაზა, მშენებლები ზარ-ზეიმით ჩააბარებენ ბაზის სიმბოლურ გასაღებს, ვისთვისაც იგია განკუთვნილი, და მერე გამოირკვევა, რომ თურმე ბაზა წესრიგში არ ყოფილა. მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა კიდევ დიდხანს გაჭიანურდება.

მიზეზი მუდამ ერთი და იგივეა: მშენებლებმა ბოლომდე არ მიიყვანეს საქმე — უმალვე სარემონტო ხდება დოკუმენტაციით თითქოს უკვე საექსპლუატაციოდ გამზადებული სპორტული ნაგებობა. ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტი, სამწუხაროდ, ერთი და ორი როდია.

ბოლო ორ წელიწადში თბილისში ცხრა ახალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა აიგო საცურაო აუზით. ცხრიდან ხუთი აუზი დღემდე არ მუშაობს. მე-40 საშუალო სკოლის საცურაო აუზს, მაგალითად, წყალი გასდის, მშენებლებმა პროექტით გათვალისწინებული მილები გაცილებით ვიწრო დიამეტრის მილებით შეცვალეს და... ერთმა ფიზკულტურის მასწავლებელმა შენიშნა, კაცი შვებულებაში უნდა გავიდეს და როცა დაბრუნდება, შეიძლება აუზი წყლით სავსე დახვდესო. იგივე ითქმის აუზის დაცლაზეც. სკოლის ხელმძღვანელობის თხოვნა, რომ დეფექტები გამოესწორებინათ, მშენებლებმა (მე-13 ტრესტმა) ყურად არ იღო. სკოლას დახმარების ხელი არც კომუნალური მშენებლობის სამმართველომ გაუწოდა. ანალოგიური მდგომარეობაა 163-ე სკოლაში, რომლის საცურაო აუზიც მე-13 ტრესტმა ააშენა. მშენებელთა „გულმავიწყობა“ აქ უფრო შორს წავიდა — აუზს არა აქვს საშხაპეები, წყლის გამტარი ტრაპი, საბოილეროში კი წყლის გამწმენდი ფილტრები... უკუღმაა დამონტაჟებული. სადეზინფექციო აბაზანა, რომელიც აუზის ჩასასვლელთან უნდა იყოს, კარგა მოშორებით დაუდგამთ. მშენებლებს, რაკი აუზი ვითომ საექსპლუატაციოდ გადასცეს, გახედვაც აღარ უნდათ სკოლისაკენ. უკეთ არც 174-ე, 175-ე, 169-ე სკოლების აუზების მშენებლებს უმუშავიათ და ეს ბაზებიც დღემდე უწყლოდაა. დამნაშავე? — ისევ და ისევ მე-13 ტრესტი.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლობისა და მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ფართოდ დანერგვის მთავარი რესპუბლიკური შტაბის სხდომაზე მკაცრად იმსჯელეს თბილისის სასკოლო აუზების მშენებლობაში დაშვებული უპასუხისმგებლობის შესახებ. შტაბის სხდომის გადაწყვეტილებით, მასალები კონკრეტულ დამნაშავეთა მიმართ ზომების მისაღებად გადაეცა სახალხო კონტროლის რესპუბლიკურ კომიტეტს.

ბალავერი

ის ურჩევნია მამულსა...

ისინი საკმაოდ მოზრდილი ტურნირის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. გორში გამართულ ნორჩ ძიუდოისტთა შეჯიბრებას ბევრი მაყურებელი ესწრებოდა, ზოგი მათგანი სურათზე მარცხნივ მდგარ ბიჭუნას უჭერდა მხარს, ზოგიც—მის ძმას. იმ დღეს ყველაზე ცუდ დღეში მაინც ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ჩოჩიშვილი იყო, რადგან ტატამზე მისი შვილები რამაზი და რეზო ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველ ადგილს. ამჯერად რეზომ იმარჯვა, მაგრამ გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც ჯერ ყველაფერი წინა აქვთ — დიდი სპორტის რთულსა და ძნელ გზაზე მარცხიც ბევრი იქნება და გამარჯვებაც. კაცმა არ იცის, რით ან როგორ გაგვახარებს ჩოჩიშვილების მოდგმის ეს ორი ბოკვერი, თუმცა ერთი კია. — ჩვენთვისაც აჯობებს და არც თვითონ ჩოჩიშვილი დარჩება ნაწყენი, თუ მათ მიერ დაპყრობილი სპორტული მწვერვალები გაცილებით მეტი და უფრო მაღალიც იქნება, ვიდრე სახელოვანი მამისა.

სურათზე: რამაზ და რეზო ჩოჩიშვილები.

ანზორ გოგოლაძის ფოტო.

ჟამი ფიქრისა,
ჟამი განსჯისა

„მოსაწყენ თემებზე“

2. გზაჯვარედინზე

საქართველოს დღესაც შეუძლია დაასახელოს არაერთი საუკეთესო მოქმედი სპორტსმენი — რესპუბლიკური, საკავშირო თუ საერთაშორისო სპორტის დიდება და სიამაყე. შეუძლია. მაგრამ მაინც — ისეთი ვარსკვლავები, როგორიც თედიაშვილი, სანეევი, შავლაყაძე, ალექსანდრე მეტრეველი იყვნენ, ახლა ჩვენში აღარ არიან. საერთოდაც არ არიან იმდენნი და იმდენად განსხვავებულნი, რომ თავიდან აგვაცილონ წარუმატებლობა სპორტის მთელ რიგ სახეობებში, სპორტში მოწინავე პოზიციების დაკარგვისაგან დაიცვან რესპუბლიკა. საქართველოს წარმომადგენლებს ახლა შედარებით ნაკლებად ვხვდებით ქვეყნის ნაკრებ გუნდებში. ჩვენი რესპუბლიკის წვლილმა იკლო საერთო სპორტულ მიღწევებში, ასევე სულ უფრო ნაკლებ როლს თამაშობს იგი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში.

მაგალითად, თუ წინა შვიდ ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები საბჭოთა ნაკრების წევრთა 4 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო ზოგჯერ მათი რიცხვი 6 პროცენტამდეც კი იზრდებოდა, ბოლო, ესე იგი მოსკოვის ოლიმპიადაზე ეს მაჩვენებელი 3,1 პროცენტამდე შემცირდა; თუ საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა მიერ მოპოვებული მედლებიდან საშუალოდ 8, ზოგჯერ კი 11,5 პროცენტიც ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა წილად მოდიოდა, მოსკოვში ეს მაჩვენებელი 6,2 პროცენტს გაუთანაბრდა; თუ ადრე ქვეყნის ოლიმპიურ ყულაბაში ქულათა საშუალოდ 5,1, ზოგჯერ კი 7,4 პროცენტიც საქართველოს დელეგაციის წვლილი იყო, ახლა ეს ციფრი 3,5 პროცენტამდე დავიდა.

სპორტის საერთო მდგომარეობის ყველაზე უტყუარი, ობიექტური შემფასებელი მაინც ხალხთა სპარტაკიადაა, რამდენადაც იგი წინასწარ სტადიაში სტარტებზე უხმობს ქვეყნის სპორტსმენთა მთელ მრავალმილიონიან არმიას, რათა შემდეგ ფინალურ შეჯიბრებებში დაასახელოს უძლიერესნი და ნათელი გახადოს ძალების საბოლოო განაწილება რესპუბლიკებს შორის.

აი, რატომ მოგვიხდება ხელახლა დავუბრუნდეთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა უკვე ყველასათვის აშკარა და თანამიმდევრული „უკუსვლის“ სურათს: პირველ ოთხ სპარტაკიადაზე დაკავებული მეხუთე ადგილებიდან — მეექვსე, მეშვიდე, მერვე და აი, ბოლოს, პირდაპირ მეათე ადგილზე. ჩვენ ისევ ვუბრუნდებით ამ მტკივნეულ საკითხს, იმიტომ რომ ბოლო სპარტაკიადაზე ინერციის ძალა გადაულახავ დაბრკოლებად იქცა და მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზეზით არ მოხერხდა მდგომარეობის სტაბილიზება, თუმცა, ჩვენი აზრით, ამ ახალი და კიდევ უფრო საგრძნობი უკან დახევისათვის არავითარი ობიექტური საფუძველი არ არსებობდა. ეს განსაკუთრებით დამაფიქრებელია, რადგან მარცხი მოხდა იმიტომ, რომ სპარტაკიადისათვის რესპუბლიკური გუნდის დაკომპლექტების, მომზადებისა თუ შეჯიბრებაში გამოსვლის ბევრი მნიშვნელოვანი უბანი მინდობილი ჰქონდა უპასუხისმგებლო, ნაკლებკომპეტენტურ ხალხს, ვინც ვერ გაამართლა, უფრო სწორად, ბოროტადაც კი გამოიყენა ეს ნდობა. საქმისადმი ამგვარ დამოკიდებულებას შედეგად ის მოჰყვა, რომ რესპუბლიკის ღირსების დაცვა ყოველთვის საუკეთესოებს არ უხდებოდათ, რომ მისი წარმომადგენლები ყოველთვის არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი და მობილიზებულნი, ყოველთვის შესაფერის სიმაღლეზე არ იდგა მათი გამოსვლების ხელმძღვანელობაც და საბოლოო ანგარიშით ყოველივე ამან გამოიწვია, ვიმეორებთ, საქართველოს გუნდის მორიგი მარცხი სპარტაკიადის სარბიელზე.

ამ ორგანიზაციული გაკვეთილის მთელ მნიშვნელობას სპორტულმა საქართველომ სათანადოდ უნდა გაუწიოს ანგარიში, რადგან დღეს იგი არჩევანის წინაშე დგას: თუ გაუწია — წინ წავა, თუ არ გაუწია — კიდევ უფრო უკან დაიხევს, მეთერთმეტე ან, შეიძლება, მეთორმეტე ადგილზეც კი.

წარმატება თავისით არ მოდის, მას მომზადება, ორგანიზება სჭირდება. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაიხსენო ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო ათწლეულში მომხდარი ცვლილებები. თითოეული ჩვენგანისათვის ცნობილია, რამდენი ზიანი მიაყენა საქართველოს თავის დროზე მომძლავრებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა — იმ ნაკლოვანებებმა და მანკიერებებმა, რამაც მოწამლა მორალური ატმოსფერო და რესპუბლიკა სერიოზულ ჩამორჩენამდე მიიყვანა ქვეყნის საერთო წინსვლის ტემპებთან შედარებით. მაგრამ ის დრო კარგა ხანია წარსულს ჩაჰბარდა. მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1972 წლის დასაწყისში ზუსტი დიაგნოზი დაუსვა ავადმყოფობას და მკურნალობის სწორი კურსიც დაადგინა, რესპუბლიკის განახლებულმა ხელმძღვანელობამ ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერით შეძლო საქმის მკვეთრად შემობრუნება: საქართველომ კვლავ დაიკავა მოწინავე პოზიციები პოლიტიკური, სამეურნეო, კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. ეს იმან განაპირობა, რომ რესპუბლიკამ დაიწყო წინსვლითი მოძრაობა გამსწრები ტემპებით და შეძლო კიდეც დასწეოდა მოწინავეებს.

ისმის კითხვა: რატომ მოხდა, რომ ფიზკულტურამ და სპორტმა ფეხი ვერ აუწყო რესპუბლიკის საერთო მძლავრ ნაბიჯებს? პასუხი ერთია: იმიტომ, რომ თუ საქართველო ამ თავის სასახელო წარმატებებს პირველ ყოვლისა კარგად დაყენებულ ორგანიზაციულ მუშაობას უნდა უმადლოდეს, ფიზკულტურა და სპორტი გამოეთიშა საერთო მოძრაობას, რადგან სათანადო სიმაღლეზე არ აღმოჩნდა სწორედ ეს ორგანიზაციული მუშაობა, რადგან ამ დარგის მუშაკებმა ვერ შეძლეს გამოეყენებინათ თავისივე რესპუბლიკის გამოცდილება.

თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართული სპორტის უკან დახევა ობიექტურმა გარემოებებმაც განაპირობა. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში სპორტი უსწრაფესი ტემპით ვითარდება მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით და, აქედან გამომდინარე, დემოგრაფიულ ფაქტორებს ახლა ბევრად მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს. გასაკვირი არაფერია იმაში, თუ საქართველო იძულებული გახდა ერთგვარად წინ გაეშვა ზოგიერთი ის რესპუბლიკა, რომელიც მას აღემატება მოსახლეობის რაოდენობით. თუმცა ბოლო სპარტაკიადაში მის მეათე ადგილზე გასვლასთან ამას არავითარი კავშირი არა აქვს.

მე იძულებული ვიქნები აქ მცირე ხნით გადავუხვიო ძირითად თემას. საქმე ის არის, რომ სპარტაკიადებში ძალების დიფერენციაცია სულ უფრო აშკარა ხდება. მართალია, შეჯიბრების ორგანიზაციისა და შედეგების აღრიცხვის წესი ნებისმიერ რესპუბლიკას — დიდი იქნება თუ პატარა — საშუალებას აძლევს თითქმის თანაბრად გამოავლინოს თავისი ძალები და წარმოაჩინოს ტალანტები, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ სპორტსმენთა პირადი მიღწევებისა და ნაწილობრივ — ცალკეულ სახეობებში გუნდურ გამარჯვებათა ხარჯზე. მხოლოდ და მხოლოდ. რაც შეეხება მეტოქეობას საერთო სასპარტაკიადო პრიზებისათვის, აქ მაძიებელთა წრე აშკარად ვიწროვდება, განსაკუთრებით ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში, რომელიც მუდამ მხოლოდ სამ პრეტენდენტს შორის (რსფსრ, უკრაინა, მოსკოვი) მიმდინარეობს.

რესპუბლიკების უმეტესობა ოცნებასაც ვერ ბედავს ესოდენ მაღალ მატერიებზე. ყველა განზრახვა და მისწრაფება საბოლოო ანგარიშით დაყვანილია კერძო ამოცანების გადაჭრამდე: დაწინაურდნენ ერთი ან ორი საფეხურით, გაუსწრონ ტრადიციულ მეტოქეს და ა. შ. მიზნების ასეთი დამცრობისგან ზარალდება, პირველ ყოვლისა, საერთო სასპარტაკიადო ბრძოლის სტიმული. მცირე რესპუბლიკები, ნაცვლად იმისა, რომ პირველ ყოვლისა სპორტის ფუძემდებლური სახეობების განვითარებისათვის ზრუნავდნენ, ცდილობენ არჩევითი, პრაგმატული მიმართულებით წარმართონ მუშაობა — იმ სახეობებს მეტი ყურადღება მიაქციონ, რომლებიც უფრო მომგებიანია სასპარტაკიადო ამოცანების თვალსაზრისით. თავისთავად ცუდი არც ეს იქნებოდა, საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამო უსამართლოდ გარიყული რომ არ რჩებოდეს მძლეოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, რომლებიც მცირერიცხოვან რესპუბლიკებს სასპარტაკიადო დივიდენდებს ვერ ჰპირდებიან. არადა, სწორედ მათ, ამ სახეობებს, საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობა აქვთ, რადგან ისინი უშუალოდ იმ კონსტრუქციებისაგან შედგებიან, რომელთაგანაც ადამიანის მთელი მოძრაობითი მოქმედებაა ნაშენები, მათ შორის — სპორტის ყველა დანარჩენ სახეობებშიც. ისინი საბაზონი არიან და ქმნიან იმ მოძრაობით კულტურას, რომლის გარეშეც სპორტის ვერც ერთი სახეობა ვერ იარსებებს.

ამგვარად, ერთი მხრივ, სპორტი მაინც სპორტია და იგი აღარ იარსებებს, თუ უძლიერესთა წარმოჩენა შეწყვიტა; მეორე მხრივ, სწორედ ამიტომ, ამ დემოგრაფიული მიზეზების გამო, ფაქტობრივად თიშავს რა რესპუბლიკების უმეტესობას მთავარი პრიზებისათვის ბრძოლიდან, სპარტაკიადა თავისი ჩასათვლელი სისტემით ანელებს საერთო ბრძოლას და ამ უკანასკნელს, თუ სამხედრო ტერმინოლოგიით ვისარგებლებთ, წვრილმან შეტაკებებად აქუცმაცებს, რაც უარყოფითად მოქმედებს სპორტის ჰარმონიულ განვითარებაზე.

სად შეიძლება ვიპოვოთ გამოსავალი, რომ არც მწვადი დავწვათ, არც შამფური? როგორც ჩანს, საჭიროა არსებული ჩათვლა რაღაც სხვა გზით გავაწონასწოროთ. იბადება აზრი, რომ კარგი იქნება შემოვიღოთ სპარტაკიადებში გამარჯვებულთა დაჯილდოების პარალელური სისტემა შედარებითი გამოხატულებით, დაგროვილი ქულებისა და მოსახლეობის რიცხვის შეფარდების მიხედვით. ეს პრიზი, ვთქვათ, „სპარტაკიადის საუკეთესო სპორტულ რესპუბლიკას“ ისევე პრესტიჟული უნდა იყოს, როგორც ჩემპიონის წოდება. იგი გააწონასწორებს ყველა მონაწილის შანსებს, ერთგვარად აღადგენს სპორტულ სამართლიანობას და გააძლიერებს საერთო მეტოქეობას. ამ პრიზის მნიშვნელობა ძნელია გაზვიადებით შეაფასო, რამდენადაც იგი ხელს შეუწყობს რესპუბლიკებში სპორტული მუშაობის გაძლიერებას. ერთი სიტყვით, ეს ისეთი საკითხია, ვფიქრობ ღირს დაისვას სსრ კავშირის სპორტკომიტეტის წინაშე.

თუმცა, „გადახვევა“, მგონი, მეტისმეტად ვრცელი გამოგვივიდა. მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს კიდეც, რომ საუბარი დამთავრდა. მაგრამ ძირითადი თემის ირგვლივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის სათქმელი. მას შემდეგ წერილში დავუბრუნდებით.

ვლადიმერ მდივანი.

უმაღლესი ლიგა

11 და 12 მარტს გაიმართა სსრ კავშირის 47-ე ჩემპიონატის I ტურის კალენდარული შეხვედრები:

„ტორპედო" — „ჩერნომორეცი" 1:0

„მეტალისტი" — „დინამო" მნ. 1:1

„შახტიორი" — „ზენიტი" 1:1

„სპარტაკი" — „არარატი" 2:0 .

ჩემპიონატის დებულებიდან

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში 1982 წელს შედგა 3-წლიანი დებულება, რომლის ძირითადი პუნქტები ძალაშია წლეულსაც. ცვლილება მოხდა თასის გათამაშებაში, რის შესახებ წინა ნომერში გვქონდა საუბარი.

ჩემპიონატში კვლავინდებურად შენარჩუნებულია ფრეთა ლიმიტი: უმაღლესი ლიგის გუნდებს შეუძლიათ ფრედ დაამთავრონ 10 მატჩი, ხოლო I ლიგის გუნდებს — 12. ლიმიტს ზევით დამთავრებული ფრეებისთვის გუნდებს ქულები არ დაეწერებათ.

პირველი ადგილები უმაღლეს, პირველ და მეორე ლიგებში ქულათა თანაბრობის შემთხვევაში განისაზღვრება კონკურენტთა შორის ერთ წრედ ჩატარებული დამატებითი მატჩებით, ეს შეხვედრები უნდა გაიმართოს ნეიტრალურ მინდორზე.

მომდევნო ადგილები ყველა ლიგაში ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში 2 და მეტ გუნდს შორის განისაზღვრება მოგებული მატჩების მეტი რაოდენობით. თუ გუნდებს ქულათა რაოდენობაც თანაბარი აღმოაჩნდებათ და მოგებული მატჩებიც, უპირატესობა განისაზღვრება მათ შორის ნათამაშევი მატჩების შედეგებით, ამასთან მხედველობაში მიიღებენ „ფრეთა ლიმიტის" წესსაც. თუ კონკურენტები აქაც ერთნაირ პირობებში აღმოჩნდნენ, უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს ყველა მატჩში და შემდეგ — ყველა თამაშში გატანილი ბურთების მეტი რაოდენობით.

შეიძლება მოხდეს, რომ თანაბარი ქულების მქონე გუნდებს ყველა ზემოჩამოთვლილი მაჩვენებელიც ერთნაირი აღმოაჩნდეს, მაშინ უმაღლეს და პირველ ლიგებში უპირატესობა განისაზღვრება სათადარიგო კოლექტივების მიერ დაკავებული უკეთესი ადგილით, ხოლო მეორე ლიგაში — წილისყრით.

უამინდობის შემთხვევაში ნებადართულია კალენდარული მატჩების ჩატარება გადახურულ მანეჟებზე.

ფეხბურთის ძველ მოყვარულებს კარგად გვახსოვს ადრინდელი ურღვევი რიტუალი: ყოველი მატჩის დამთავრების შემდეგ მსაჯი მიემართებოდა მინდვრის ცენტრში, ორივე გუნდი მოეწყობოდა მის გარშემო, ფეხბურთელები მიესალმებოდნენ ერთმანეთს, მადლობას უხდიდნენ მსაჯებს, მაყურებლებს და მხოლოდ ამის შემდეგ ტოვებდნენ სარბიელს.

გადაწყდა ეს კარგი ტრადიცია კვლავ განახლდეს წლევანდელი სეზონიდან. ყოველი ოფიციალური მატჩის დამთავრების შემდეგ მსაჯები თავს მოიყრიან მინდვრის შუაგულში, ფეხბურთელები შეასრულებენ ზემოაღწერილ რიტუალს და მხოლოდ ამის შემდეგ გაემართებიან გასახდელში.

გუნდი, რომელიც ამ წესს არ შეასრულებს, მსაჯისგან დაიმსახურებს ყვითელ ბარათს.

ტაშკენტის საერთაშორისო

ტაშკენტში დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და უზბეკეთის ნაკრები გუნდები. თამაშის ძირითად დროს შედეგი არ მოჰყოლია — 0:0, დამატებით დროში გადამწყვეტი ბურთი გაიტანა სსრ კავშირის ნაკრების წევრმა მიკოლაენკომ და გამარჯვებაც ამ გუნდს დარჩა.

მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გუნდები. გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა — 2:1. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ უნგრეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, რსფსრ-ს, ფინეთისა და უკრაინის ფეხბურთელები.

ილია ილფი, ევგენი პეტროვი

გულშემატკივრები

ილფისა და პეტროვის პროზამ რომ დროის გამოცდას გაუძლო და დღესაც შეუნელებელი ინტერესით იკითხება, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და არც არავის უკვირს. მაგრამ საოცარი ის გახლავთ, რომ მათი საგაზეთო ფელეტონიც კი — რომელიც, საერთოდ, სწრაფად ბერდება — ისე იკითხება, თითქოს გუშინ დაეწეროთ ჩვენს სადღეისო პრობლემებზე. ამის დამადასტურებლად გთავაზობთ ავტორთა „საფეხბურთო" ფელეტონის შემოკლებულ თარგმანს.

ზაფხული მიიწურა, მიიწურა ყველასათვის...

კალოშებიანი მოქალაქეები მორჩილად ელიან გრიპის შემოტევას და შემცივნულ თითებს ხშირად უთათუნებენ ცენტრალური გათბობის მილებს. ფეხბურთის ქომაგებისთვის კი გახურებული ზაფხულია: მჭიდროდ ჩამსხდარან ისინი ტრიბუნებზე და თავზე გადაფარებული გაზეთებიდან ჩამომდინარე მსხვილი წვეთები ლოყებზე აგორდებათ. ვერც გაარჩევთ, წვიმა დასდით ლოყებზე თუ „მაგარი" თამაშისაგან მოგვრილი ცრემლები.

გამოერევა ხოლმე წელიწადში რამდენიმე საოცრად ნათელი, ლამის არაბუნებრივი დღე, როცა ჩვენს ქალაქში არანაირი თათბირი არ ტარდება: არ ისმის თავმჯდომარეთა ზარის წკარუნი, არავინ ითხოვს რიგგარეშე გამოსვლას და არც მომხსენებელთა გულისგამაწვრილებელი დუდუნი ისმის.

ყველანი წასულან. წასულან „დინამოს" სტადიონზე ფეხბურთის საცქერლად...

ხალხმრავალი ტალღა აწყდება სტადიონის მისასვლელ ქუჩებს. სწორედ აქ, სტადიონის მისადგომებთან, გზაჯვარედინზე მოხდა მსოფლიოში ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევა — ფეხით მოსიარულეებმა ავტომანქანა გასრისეს.

ვიმეორებთ: მანქანას კი არ გაუსრესია გამვლელი, გამვლელებმა გადაუარეს მანქანას... „დინამოს" ბასტიონის „ქონგურების" დანახვაზე მათ აკრძალული სისწრაფე განავითარეს და მომენტალურად გადაჯეგეს თავის გზაზე წყნარად მიმავალი პატარა „ფიატი". საწყალმა ერთი კი დაიწრიპინა ვირთხასავით, მაგრამ გვიანღა იყო. მას გადაუარა ორმოცდაათიათასიანმა ბრბომ, რის შემდეგ დაზარალებული, ბუნებრივია, „უტილს" ჩაჰბარდა...

ასეთ დროს ჩვეულებრივი მოქალაქეები უბედურ დღეში არიან: მიმოსვლის ყოველი არხი ფეხბურთის ქომაგებით არის გადაჭედილი. ამ ხალხს, გაცხარებით რომ უსაბუთებენ ერთმანეთს თავიანთ პროგნოზს, დაუკავებია მთელი ვაგონები, ქუჩები, ტროტუარები. ისინი უმალ გარს ერტყმიან დაცარიელებულ ტაქსის და ლამის აცრემლებულები ევედრებიან მძღოლს სტადიონამდე მიყვანას.

ორგანიზებულ მაყურებლებს ანუ ვისაც თავი ქუდში (ესე იგი, ბილეთი ჯიბეში) აქვს, სტადიონის მისადგომებთან მოზიმზიმე ბრბო ელოდება. ესენი არაორგანიზებული მაყურებლებია, ბილეთი რომ ვერ უშოვნიათ და ვერც იშოვნიან. ეს ხალხი აქ სასწაულის რწმენამ მოიყვანა: დავიჯერო, ორმოცდაათ ათას კაცში არავის გაუხდება ავად ან ცოლი, ან სიდედრი, ოცნებობს არაორგანიზებული მაყურებელი; ანდა — ვინმე შერეკილმა, შესაძლოა, ამდენი ალყის გამორღვევის შემდეგ ზედ სამხრეთის ჭიშკართან გადაიფიქროს მატჩზე დასწრება და ბილითი მომყიდოსო.

მაგრამ ამაოდ შესციცინებს თვალებში არაორგანიზებული მაყურებელი ორგანიზებულს — „ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთ?" სულ ამაოდ: ცოლები და სიდედრები ასეთ დღეებში ავად არ ხდებიან, შერეკილებზეც ხომ ლაპარაკიც ზედმეტია — ეტყობა ამნაირად შერეკილი ხალხი არც არსებობს.

ამბობენ, ერთხელ ვიღაც ორიგინალს წამოსცდენია — მე მაქვს ზედმეტი ბილეთიო. ამის თქმა და — იგი არაორგანიზებულ მაყურებელთა ტალღამ ჩანთქა. სულ ორ წუთს გაგრძელებულა ჯაჯგური და ქშენა, და როცა სახელაწილი ბრბო დაშლილა, შემთხვევის ადგილას უპოვიათ პიჯაკის ორი ღილი და ფერფლის გროვა. წინდაუხედავი ბილეთოსანი კი სად აორთქლდა, ეს ჯერაც ვერ დაუდგენიათ...

როგორც იქნა, მსაჯმაც ჩაჰბერა თავის ოთხტონალობიან სასტვენს და სტადიონმაც შვებით ამოიქშინა. მაგრამ დრო... დრო გულშემატკივრისათვის პირდაპირ აღმაშფოთებელი სისწრაფით გარბის. თამაში საათნახევარს გრძელდება, მაგრამ მას ეჩვენება, რომ მოატყუეს და მატჩს ორ წუთს აყურებინეს. თანაც ამ ორ წუთშიც მოასწრო მსაჯმა „გაყიდულიყო". გულშემატკივარს მუდამ ჰგონია, რომ მსაჯი „ნაყიდია", რომ თავდამსხმელები დასეირნობენ, რომ ცენტრალურ დამცველს დაეძინა და ბურთი გაატარა, რომ გოლი „აფსაიტიდან" შეგვიგდეს, და საერთოდ, ის მოყვარული რომ გადაუშვა მოედანზე, თამაში გაცილებით უკეთესი და საინტერესო გახდება...

მეორე ტაიმის ბოლოს, როდესაც სულ რამდენიმე წუთიღა რჩება მატჩის სახსნელად და მოლოდინით სუნთქვაშეკრულ სტადიონზე დაძაბულობა უმაღლეს წერტილს აღწევს, ადგილიდან დგება ზამშეს კეპიანი პიჟონი და გასასვლელს მიაშურებს, თან გზადაგზა მაყურებლებს აბიჯებს ფეხებზე. ვაჟბატონს ტრამვაის ცარიელ ვაგონზე ოცნება მიაქანებს გასასვლელისაკენ. ამის კვალობაზე უცბად ირკვევა მატჩზე დამსწრე პიჟონთა რაოდენობა: მათი რიცხვი სამიათას კაცს აღწევს. ისინიც ფეხზე წამოცვივდებიან და დამდუღრულებივით მიექანებიან გასასვლელებისაკენ. ამ „ქაჯებს" ტრამვაი ურჩევნიათ ფეხბურთს. ისინი ტრიბუნების ისეთსავე ზიზღს იმსახურებენ, როგორსაც — შტრეიკბრეხერები.

და როცა ისინი ვაგონის ჯგლეთაში იდაყვებითა და კბილებით იბრძვიან ადგილისათვის, მაყურებელი მონუსხული უყურებს საფეხბურთო ორთაბრძოლის უკანასკნელ, განუმეორებელ კომბინაციებს.

საფინალო სასტვენის შემდეგ მაყურებლები ერთხანს გაუნძრევლად სხედან, მერმე [illegible] და გასასვლელებისკენ [illegible] გზადაგზა ირჩევა თამაში და საბოლოო მსჯავრი ედება ამა თუ იმ მოთამაშეს.

და აქ უნდა ნახოთ მარტოკაცის გასაჭირი! ენა ექავება, იდეები აწუხებს, მაგრამ ვის უნდა აუწყოს თავისი აზრები... გაუბედავი ღიმილით ცდილობს მიეკედლოს რომელიმე ჯგუფს და ჩაერთოს საუბარში, მაგრამ ყველა კამათშია ჩაბმული და გარეშეს საკმაოდ გულცივად ხვდებიან. მოკლედ, უჭირს მარტოკაცს!

დიდ გასაჭირში ჩავარდა ერთი თავგადაკლული ქომაგი ამ უკანასკნელი დიდი მატჩის შემდეგ. თამაშზე მთელი საძმაკაცო ერთად ისხდნენ, მაგრამ გამოსვლისას ჭულეტაში გაიბნენ. რა ქნას, ვის გაუზიაროს თავისი შთაბეჭდილებები?

დატრიალდა ჩვენი გულშემატკივარი, ხან ერთ ჯგუფს მიაშურა, ხან მეორეს, მაგრამ უცხო, გულგრილ ზურგებს წააწყდა... არადა, სათქმელი რომ არ ამოეშვა, გაიგუდებოდა კაცი. დეპეშას მაინც გავუგზავნი ვინმესო, გადაწყვიტა, მაგრამ — ვის?

ამ ამბის ბოლო ასეთი გახლდათ: ქალაქ სიზრანში შუაღამით ფოსტალიონმა გააღვიძა პატიოსანი მოქალაქე, ამ გულშემატკივრის ბიძა, და ელვა-დეპეშა ჩააბარა. დიდხანს იდგა ფეხშიშველა მოხუცი ცივ იატაკზე და დამარცვლით კითხულობდა უცნაურ სტრიქონებს:

„გილოცავ მძიმე სამით ორი დავაკერეთ წერტილი თურქების ცენტრი ვერ დავიჭირეთ მძიმე მაგარი ვინმეა წერტილი ქემალ რიფატმა არა უშავს იმსაჯა მძიმე ბიცოლამაც იცოდეს".

ბიძას მთელ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს. ბიცოლა ქვითინებდა, თუმცა, მანაც არ იცოდა, რაში იყო საქმე.



ბაღი დაობს, კამათობს...

ანუ სტუმრად გულშემატკივართა საკრებულოში

თუკი ჩვენში რომელიმე ადგილზე ითქმის, საფეხბურთო მექაო, პირველ ყოვლისა, ალბათ, კიროვის ბაღზე. ამის საფუძველსა თუ საძირკველს, როგორც გნებავთ, ისე დაარქვით, რამდენიმე თაობა ქმნიდა; ბუნებრივია, ვგულისხმობთ ფეხბურთის თავგადაკლულ ქომაგთა თაობებს. აქ პირველად მოსულ კაცს არ სჭირდება ჭადრაკის სასახლის წინ აუზში სიმბოლურად მონეტის ჩაგდება, იგი უამისოდაც მოვა აქ მეორედ... და, ჩვეულებრივ, არც ამ მეორედ მოსვლას დასჯერდება; ასე ხდებიან თბილისელ გულშემატკივართა არაოფიციალური კლუბის წევრები სულ სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჭკუისა და ხასიათის ადამიანები. ამ ფერადოვანსა და ჭრელ აუდიტორიაში, რომელიც წელიწადის ყოველ დროს იყრის თავს დედაქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს პარკში ანუ „ბაღში", როგორც თავად ეტყვიან გულშემატკივართა თავისებურ და უაღრესად ორიგინალურ საკრებულოს, ნებისმიერ თემაზე შეგიძლიათ ისაუბროთ — დაწყებული ხელოვნებიდან, დამთავრებული იქთიოლოგიითა და ეკოლოგიით. ფილოლოგი უმალ მონახავს კოლეგას, მეტყევე ასევე სწრაფად შეიცნობს თავისი პროფესიის კაცს, ასევე მიაკვლევენ თავიანთ ტოლსწორსა და კოლეგას ჟურნალისტები, ისტორიკოსები, ტექნოლოგები, ინჟინრები, ექიმები (ეს პროფესია განსაკუთრებით ფასობს ბაღში, რადგანაც გულშემატკივრები ხშირად ვერ თანხმდებიან ფეხბურთის ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე და ზოგჯერ თავიანთი ჯანმრთელობის საზიანოდ ზედმეტად ცხარობენ და ნერვიულობენ... ცხადია, უფრო რთულად არის საქმე, როცა თავად ექიმები ხდებიან ხოლმე გაცხარებული კამათის „მსხვერპლნი"), მოქანდაკეები, მწერლები, მეცნიერები, კომპოზიტორები, მომღერლები... პრაქტიკულად ნებისმიერი პროფესიის ადამიანები, უბრალოდ, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. მსურველებს შეუძლიათ დამატებითი ცნობები ადგილზევე ანუ ჭადრაკის სასახლის წინ მაილონ, ცხადია, სამუშაო საათების შემდეგ (გულშემატკივრები სასტიკად იცავენ წესრიგს და ბაღში მხოლოდ თავისუფალ დროს, სამსახურის შემდეგ იკრიბებიან).

ამ იმპროვიზებული კლუბის წევრი შეიძლება გახდეს მხოლოდ ფეხბურთის მოყვარული და პატიოსანი კაცი. ეს არის ორი პირობა, რომელთა გარეშეც ვერ იარსებებდა კიროვის ბაღის ფენომენი. თუმცა, აქვე უნდა დავძინოთ, რომ აუცილებელია ფეხბურთის უსაზღვრო სიყვარული, მაგრამ სასურველია — და არა აუცილებელი — მისი ცოდნა. თუ ამ თავისებური საფეხბურთო უნივერსიტეტის „პროფესურას" შეეკითხებით, ბაღში რას აჭაჭანებთ იმ ხალხს, ფეხბურთის ბაიბურში რომ არ არისო, ერთს გაიცინებენ და აქეთ შემოგიბრუნებენ კითხვას: აბა, ბატონო, ჩვენ აქ რისი მაქნისები ვართ, თუ უცოდინარი გულშემატკივარი არ გავანათლეთო.

აკი ვთქვით, ბაღში ნებისმიერ თემაზე შეგიძლიათ ისაუბროთ, იმსჯელოთ, თუ გსურთ, იკამათოთ კიდეც, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ფეხბურთი აქ ყველა თემაზე მაღლა დგას.

გულშემატკივართა კლუბის ხანიერი წევრების ერუდიცია შეშურდება ფეხბურთის სპეციალისტსაც კი. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ბაღში ფეხბურთზე კამათის დროს აბსურდამდე მისული შეხედულებებიც არ გამოითქმებოდეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც მუდამ იმარჯვებს საღი და ჩვენი ფეხბურთისათვის სასიკეთო აზრი. ეს არის თავი და თავი ამ საკრებულოს ყოველდღიური შეხვედრებისა. აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ გამოკვეთს და უფრო ხვეწს სწორ და მართებულ პოზიციას. მაგრამ... ზოგჯერ იმართება კამათი კამათისათვის და მაშინ მსმენელმა უთუოდ უნდა მოუხმოს იუმორის გრძნობას.

მთელი წლის განმავლობაში მოქმედებს ეს ნამდვილად ნებაყოფლობითი საფეხბურთო უნივერსიტეტი, მაგრამ არაფერი სჯობს იქ მოხვედრას სწორედ ფეხბურთის ჩემპიონატის პერიოდში: სალაპარაკოც არის, საკამათოც, ზოგჯერ — სასაცილოც, ხანდახან — სატირალიც, და ბაღიც კამათობს, დაობს, იცინის, ჯავრობს. ამ დავა-კამათის რეზონანსი არასოდეს იფარგლებოდა მარტოოდენ კიროვის პარკის ტერიტორიით, ბაღის პოზიციას ანგარიშს უწევდნენ და კვლავაც გაუწევენ საფეხბურთო წრეებში, ვინაიდან ამ საკრებულოს კრავს და ანგარიშგასაწევ ძალად აქცევს ფეხბურთის უანგარო, ფანატიკური და ქმედითი სიყვარული.

სპორტი მშვიდობის სამსახურში

იყო დრო, დასავლეთის ქვეყნების სპორტსმენები განზე იდგნენ პოლიტიკისაგან და ნაკლებად მონაწილეობდნენ სამშვიდობო მოძრაობაში. ოთხმოციანი წლების დამდეგს მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. ატომური ომის საფრთხემ მშვიდობის დამცველთა რიგებში უხმო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, დასავლეთ გერმანიისა და სხვა სახელმწიფოების სპორტსმენებს.

უცხოეთის პრესაში კვლავ გამოჩნდა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მძლეოსნის, ამერიკელი ბობ ბიმონის სახელი. იგი აქტიურად მონაწილეობს ანტისაომარ მოძრაობაში. ახლახან ბიმონი მიესალმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაარსებულ კომიტეტს, რომელიც გამოდის დევიზით — „სპორტსმენები ატომური რაკეტების წინააღმდეგ“. ამ კომიტეტისადმი მიმართვაში ბიმონი წერს: „მრავალი წლის მანძილზე მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტის სპორტსმენებს აკავშირებდა მეგობრული შეჯიბრებები. ახლა ჩვენ გვაერთიანებს მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაც. ეს ბრძოლა უთუოდ უნდა მოვიგოთ“.

დასავლეთ გერმანიაში დაარსებული კომიტეტის მოღვაწეობას მხარი აუბა ბევრმა სპორტსმენმა. მაგალითად, ორი ცნობილი საფეხბურთო კლუბის „არმინიასა“ და „ბორუსიას“ 16 მოთამაშემ ფეხბურთის ქომაგებს მოუწოდა აქტიურად ჩაებან განიარაღებისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში. „ჩვენ უნდა გამოვიდეთ დასავლეთ გერმანიაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ“, — ნათქვამია ფეხბურთელთა მოწოდებაში. სხვათა შორის, ამ მოწოდებას ხელს აწერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრი ლოთარ მათჰოისი.

ამ ქვეყნის უძლიერესმა მოფარიკავე ქალმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა კორნელია ჰანიშმა განაცხადა: „ერთ დროს ანტიკომუნიზმის ტყვეობაში ვიყავი, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენებთან ურთიერთობამ და მათთან გულახდილმა საუბრებმა დამარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირს არ უნდა ომი. მან დიდი მსხვერპლი გაიღო მეორე მსოფლიო ომში. ჩემთვის სავსებით გასაგებია ის შეშფოთება, რომელსაც საბჭოთა ხალხში იწვევს ამერიკული რაკეტების განლაგება დასავლეთ ევროპაში“.

ანტისაომარი მოძრაობა ძალას იკრებს დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. როგორც ცნობილია, დანიაში უყვართ ხელბურთი. ქალაქ ოდენსეს სპორტული დარბაზი მაყურებლებით იყო სავსე, როცა აქ გაიმართა ქვეყნის ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი შეხვედრა, მატჩში მონაწილეობდნენ დანიის ნაკრების წევრებიც. შუა თამაშში ნაკრების მოთამაშეები აიჭრნენ ტრიბუნებზე, რათა მაყურებლებისათვის გადაეცათ დანიის მშვიდობის მომხრეთა მოწოდება დასავლეთ ევროპაში ამერიკული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ.

ამ ფაქტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, სპორტული ბიზნესისა და რეაქციული პრესის გაბოროტება გამოიწვია. ხელბურთელები დაადანაშაულეს სპორტსმენისათვის შეუფერებელ საქციელში.

„არ ვიცი, რას მიიჩნევს ზოგიერთი შეუფერებელ საქციელად, — განაცხადა დანიის ნაკრების მოთამაშემ მორტენ სტიგ კრისტენსენმა, — მაგრამ სპორტსმენს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თავისი შეხედულება ომისა და მშვიდობის საკითხზე. ჩვენ შეგნებულად შევწყვიტეთ მატჩი, რათა გვეჩვენებინა, რომ სავსებით ვუჭერთ მხარს მშვიდობის საქმისათვის მებრძოლთ“.

ხელბურთელებს მხარი აუბა დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენის მძლეოსანთა კლუბმაც, რომელმაც მოაწყო ოთხსაათიანი გარბენი დევიზით „ესტაფეტა ამერიკული ატომური რაკეტების წინააღმდეგ“. კოპენჰაგენის მცხოვრებნი მხურვალედ მიესალმებოდნენ სპორტსმენებს, რომლებსაც მანამდე მხოლოდ სტადიონის სარბენ ბილიკებზე ხედავდნენ.

დანიის კუნძულ ფიუნის ფეხბურთის გუნდის მოთამაშენი მონაწილეობდნენ ამერიკული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ მოწყობილ დემონსტრაციაში, მოჭადრაკეებმა კი კოპენჰაგენის გარეუბანში გამართეს „ანტისარაკეტო საჭადრაკო შეჯიბრება“.

აი, როგორ გამოხატა ამ ანტისაომარი გამოსვლების სულისკვეთება ცნობილმა დანიელმა ველომრბოლელმა, მსოფლიო ჩემპიონმა მიზაელ მარკუსენმა: „როგორც ყველა ადამიანისათვის, ისე ნებისმიერი სპორტსმენისთვისაც, ყველაზე მნიშვნელოვანია ბრძოლა მშვიდობისათვის“.

ფიფა უარზეა

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას გადაწყვეტილი ჰქონდა წლეულს, ივნისში ჩაეტარებინა თავისი არსებობის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი. ამის თაობაზე ბრაზილიელებმა ადრევე თხოვეს სანქცია ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას, გამოაქვეყნეს ცნობა პრესაში და საჭირო სამზადისსაც შეუდგნენ.

მაგრამ სულ ახლახან გამოირკვა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია უარზეა ასეთი დიდმნიშვნელოვანი, სერიოზული საერთაშორისო ტურნირი იმ დროს ჩატარდეს, როცა საფრანგეთის სტადიონებზე ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩები გაიმართება. ფიფა-ს ხელმძღვანელობის აზრით ამ პერიოდში საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მხოლოდ ევროპის ჩემპიონატი.

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჟ. კოუტინიო ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე დაეთანხმა ფიფა-ს ხელმძღვანელობას, რომ ამ ორი დიდი შეჯიბრების ერთდროულად გამართვა, მართლაც არაა მიზანშეწონილი, თუმცა ისიც დაუმატა: ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირის მონაწილეებს (ბრაზილია, ინგლისი, ჰოლანდია, მექსიკა, ურუგვაი, არგენტინა) არაფერი საერთო არა აქვთ ევროპის ჩემპიონატის ფინალთან. ჟ. კოუტინიომ ხაზი გაუსვა, რომ ბრაზილიის რეგიონალური ტურნირისთვის, რომლის ფინალური მატჩი რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას“ სტადიონზე უნდა ჩატარდეს, საჭიროა სხვა დრო გამოიძებნოს. აღინიშნა ისიც, რომ ფიფა-ს პოზიცია უარყოფითად იმოქმედებს საერთოდ ბრაზილიური ფეხბურთის განვითარებაზე, ვინაიდან ეს ტურნირი მეტად სასარგებლო იქნება მასში მონაწილე გუნდებისთვის.

ბრაზილიელები ახლა ხელსაყრელ დროს ეძებენ ტურნირის ჩასატარებლად, მათი გუნდის უფროსი მწვრთნელის ვ. პარეირას აზრით ტურნირი აუცილებლად უნდა ჩატარდეს, ოღონდ მის გუნდს ძლიერ, პრინციპულ მეტოქეებთან ესაჭიროება თამაში.

ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

ფეხბურთი სანახაობაა

ზიკო ბრაზილიელ ფეხბურთელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. 1977, 1981, 1982 წლებში იგი სამხრეთ ამერიკის პირველ ფეხბურთელად დაასახელეს, „ფლამენგოს“ შემადგენლობაში საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვა, წარმატებით უთამაშია ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში. 29 წლის ზიკო ამჟამად იტალიის „უდინეზეში“ გამოდის. ინგლისის „უორლდ სოკერის“ კორესპონდენტი ამას წინათ ესაუბრა ზიკოს.

კითხვა: როგორც ფეხბურთელმა, მიაღწიეთ თუ არა მწვერვალს?

პასუხი: ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელიც მიღწეულით კმაყოფილია.

კითხვა: ხართ თუ არა თქვენი მატჩების, გოლების სტატისტიკოსი?

პასუხი: ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ბრაზილიის ნაკრებში 70-ჯერ მითამაშია, „ფლამენგოში“ — 520-ჯერ, შემდეგ — „უდინეზეში“, მგონი, 600-მდე ბურთი გავიტანე.

კითხვა: მალე ოცდაათისა გახდებით, ეს კი ის დროა, როცა ფეხბურთელი კარიერის დასასრულზე იწყებს ფიქრს...

პასუხი: ამაზე ჯერ არ ვფიქრობ. მაგრამ ერთს კი გეტყვით: არავითარ შემთხვევაში მწვრთნელად არ ვიმუშავებ.

კითხვა: რატომ?

პასუხი: დღევანდელ პირობებში მწვრთნელობა ურთულესი პროფესიაა, იგი დიდ რისკთან და ნერვიულობასთანაა დაკავშირებული. მწვრთნელი ასე თუ ისე სრულქმნილი პიროვნება უნდა იყოს, მე კი რაღაც-რაღაცეები მაკლია. არც მწვრთნელის შესაფერისი ტემპერამენტი მაქვს.

კითხვა: როგორ აფასებთ თანამედროვე ფეხბურთს?

პასუხი: უნდა ვაღიარო, რომ არიან გუნდები, რომლებიც მხოლოდ ქულებზე ზრუნავენ და არა თამაშის სანახაობრივ მხარეზე. მაყურებელი კი სტადიონზე ლამაზი ფეხბურთის სანახავად მოდის.

მსოფლიო ფეხბურთის ორი ვარსკვლავი — ზიკო (მარცხნივ) და მარადონა.

პროფესიონალი ფეხბურთელი ამხელს

ბელგიის ეროვნული საფეხბურთო ლიგა შეუდგა იმ სკანდალური საქმის განხილვას, რომელიც დაკავშირებულია „სტანდარდის“ კლუბის ხელმძღვანელობის მიერ „ვატერსჰეის“ მოთამაშეთა მოსყიდვასთან.

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ცნობილმა ბელგიელმა ფეხბურთელმა ერიკ გერეტსმა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე გამოდიოდა „სტანდარდში“, ახლა კი იტალიის „მილანში“ თამაშობს, ბელგიის პოლიციას შეატყობინა, რომ 1981-82 წლების სეზონის დასასრულს „ვატერსჰეის“ წარმომადგენელს გადასცა დაახლოებით 18 ათასი დოლარი იმის საფასურად, რომ ამ კლუბის ფეხბურთელები დათანხმებულიყვნენ „სტანდარდთან“ გადამწყვეტი მატჩის წაგებაზე, რის შემდეგ ეს უკანასკნელი ბელგიის ჩემპიონის წოდებას ეუფლებოდა.

როგორც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, „სტანდარდის“ პრეზიდენტი როჟე პეტი და უფროსი მწვრთნელი რაიმონდ გუტალსი მაშინვე გადადგნენ თავიანთი პოსტებიდან, როგორც კი გაიგეს, რომ ე. გერეტსმა ასეთი განცხადებით მიმართა პოლიციას.

ე. გერეტსმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ვიცი, რომ დამნაშავე ვარ, ჩავიდინე ის, რაც არასოდეს არ უნდა გამეკეთებინა. ახლა პასუხი უნდა ვაგო შეცდომისთვის“.

იტალიიდან ცნობა მოვიდა, რომ „მილანის“ ხელმძღვანელობამ ე. გერეტსი გამოიყვანა გუნდის შემადგენლობიდან და უახლოეს მომავალში დაარღვევს მასთან კონტრაქტს.

ამავე დროს ბელგიის პოლიციამ დააპატიმრა „სტანდარდის“ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებიც ამ სკანდალში იყვნენ შემჩნეული. მათ შორის არიან ნაკრების მოთამაშეები პლესერსი, ვანდერსმისენი და ტაჰამატა.

ინფორმაცია

ტატიანა კურნიკოვას რეკორდი

ხარკოვში, სსრ კავშირისა და გდრ-ის მოცურავეთა მატჩზე, 19 წლის ბაქოელმა ტატიანა კურნიკოვამ საკავშირო რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 2.11,31. მან 2 წამზე მეტით გააუმჯობესა ტამარა შელოფასტოვას 1976 წლის მიღწევა. რეკორდსმენმა ყველას აჯობა 100-მეტრიან დისტანციაზე — 1.00,81.

სამდღიანი ბრძოლის შემდეგ მატჩი მოიგეს სტუმრებმა — 178:166. მესამე, დასკვნით დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა პროგრამის 10 სახეობიდან მხოლოდ ორში გაიმარჯვეს. ვაჟთა ნაკრებმა მოიგო 4X100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტა — 3.44, 22, ხოლო დმიტრი კუზმინმა ყველას აჯობა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში — 2.18,29.

სტუმართაგან ამ დღეს გაიმარჯვეს: 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში კრისტინ ოტომ—1.02,08; 200 მ ბატერფლაით — ინეს გაისლერმა — 2.10,07; 100 მ ბრასით — სილვია გაეშმა — 1.10,55.

სამი გამარჯვებული ცნობილია

მოსკოვის უნივერსალურ სპორტულ კომპლექს „დრუჟბაში“ მიმდინარეობს სამბოს ერთ-ერთი ფუძემდებლის — ანატოლი ხარლამპიევის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში 4 ქვეყნის (ბულგარეთი, იტალია, მონღოლეთი, სსრკ) სამბისტები მონაწილეობენ. პირველ დღეს გამარჯვებულები სამ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ: ოქროს მედლები მოიპოვეს მოსკოველმა სერგეი კონდრაშკინმა (48 კგ), ტერმეზელმა საბირ ადიგეზალოვმა (62 კგ) და ტაშკენტელმა სერგეი სტეშნიკოვმა (90 კგ).

— ხარლამპიევის მემორიალი ახალი სპორტული სეზონის პირველი დიდი საერთაშორისო შეჯიბრებაა, — თქვა საბჭოთა კავშირის სამბისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სტანისლავ იონოვმა, — ამ ტურნირის შემდეგ დაკომპლექტდა ქვეყნის ნაკრები, რომელიც აპრილში ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს.

დიდოსტატი ქალის მონაწილეობით

რეიკიავიკში (ისლანდია) დამთავრდა ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრების 12 მონაწილეს შორის იყო ცნობილი შვედი დიდოსტატი მოჭადრაკე ქალი პია კრამლინგიც.

კრამლინგმა სტარტზე ორი დიდოსტატი დაამარცხა და 6 ტურის შემდეგ 5 ქულით ლიდერობდა, მაგრამ შემდეგ სუსტად ითამაშა და საბოლოოდ 6 ქულით მეხუთე-მეექვსე ადგილები გაიყო.

მიმომხილველებს დიდ მოულოდნელობად მიაჩნიათ ახალგაზრდა ისლანდიელი ოსტატის ჰიარტასონის გამარჯვება (8 ქულა). ამდენივე ქულით, მაგრამ კოეფიციენტების ცხრილში უარესი მონაცემებით, მეორე ადგილზე დარჩა ოსტატი პეტურსონი (ისლანდია).

თამაშობენ ჭაბუკები

საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებმა (16 წლამდე) ევროპის ჩემპიონატის პირველი მეოთხედფინალური მატჩი ბულგარელ თანატოლებთან წააგეს ანგარიშით 0:1. შეხვედრა გაიმართა ტირგო ვიშტეში.

საპასუხო მატჩი მოეწყობა ბაქოში 28 მარტს.

ჯესი ოუენსის სახელობისა

დასავლეთ ბერლინში, ოლიმპიური სტადიონის მიმდებარე ქუჩას შტადიონ ალეიას ჯესი ოუენსის სახელი დაერქვა.

ამ გამოჩენილი ამერიკელი სპორტსმენის სახელი სამუდამოდ შევიდა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში. 1936 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე, ბერლინში, მან ოთხი ოქროს მედალი დაისაკუთრა (100 და 200 მეტრებზე რბენაში, სიგრძეზე ხტომასა და 4X100 მეტრზე ესტაფეტაში).

ზანგი სპორტსმენის ეს ბრწყინვალე გამარჯვება არა მარტო დიდი სპორტული მიღწევა იყო, არამედ იმ რეჟიმის სერიოზული პოლიტიკური მარცხიც, რომლის მიზანი იყო ადამიანთა დაყოფა უმაღლეს და უმდაბლეს რასებად, ხალხების დამონება და განადგურება.

სიგრძეზე ხტომის ფინალში, ოუენსმა სძლია გერმანელ ათლეტს და ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიპოვა, მისი წარმატებით გაბოროტებულმა ფიურერმა სტადიონი დატოვა. ოუენსის ნახტომი — ეს არის სამოქალაქო გმირობა, ეს არის ესესელთა მუნდირებში გამოწყობილი რასისტებისათვის სილის გაწვნა — ასე შეაფასა იმ დროის პროგრესულმა პრესამ ზანგი მძლეოსნის გამარჯვება.

და აი, 48 წლის შემდეგ, დასავლეთ ბერლინის სენატმა ჯესი ოუენსის სპორტული გმირობის აღსანიშნავად ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დაარქვა.

საზეიმო ცერემონიალზე ჩავიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია, პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის მეთაურობით; აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია; ოუენსის ქვრივი რუტი, მისი ქალიშვილები: გლორია, ბევერლი და მარლენი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი სპორტსმენები.

რედაქტორი ა. გოგელია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. 25. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე — 07137
ИНДЕКС 66435